

# ქალაქ ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №31

2017 წლის 21 აგვისტო

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

„ქალაქ ბათუმი მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016303) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და №2 ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

### მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ლაშა სირაზიძე

დანართი 1

### თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	115022.2	119877.0	153638.3		153638.3
გადასახადები	18819.4	35081.9	31300.0		31300.0
გრანტები	63170.7	51564.0	83074.3		83074.3
სხვა შემოსავლები	33032.1	33231.1	39264.0		39264.0
ხარჯები	78667.6	83689.7	87517.7		87517.7



შრომის ანაზღაურება	17672.9	20853.4	19615.6		19615.6
საქონელი და მომსახურება	28583.5	28433.3	32276.0		32276.0
პროცენტი	2586.9	3162.4	4204.3		4204.3
სუბსიდიები	14473.2	12071.7	13007.5		13007.5
გრანტები	1830.5	1404.4	10.0		10.0
სოციალური უზრუნველყოფა	5855.0	6814.3	7559.6		7559.6
სხვა ხარჯები	7665.6	10950.3	10844.7		10844.7
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>36354.7</b>	<b>36187.3</b>	<b>66120.7</b>		<b>66120.7</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>44099.6</b>	<b>41365.7</b>	<b>48763.9</b>		<b>48763.9</b>
ზრდა	45725.8	46430.4	62493.9		62493.9
კლება	1626.2	5064.7	13730.0		13730.0
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-7744.9</b>	<b>-5178.4</b>	<b>17356.8</b>		<b>17356.8</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-17979.2</b>	<b>-13992.0</b>	<b>633.6</b>		<b>633.6</b>
ზრდა	2029.0	93.3	737.5		737.5
აქციები და სხვა კაპიტალი	2029.0	93.3	737.5		737.5
კლება	20008.2	14085.4	103.9		103.9
ვალუტა და დეპოზიტები	20008.2	14085.4	103.9		103.9
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-10234.3</b>	<b>-8813.7</b>	<b>-16723.2</b>		<b>-16723.2</b>
კლება	10234.3	8813.7	16723.2		16723.2
საშინაო	10234.3	8813.7	16723.2		16723.2
<b>ბალანსი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	
			მათ შორის	



			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	116648.5	124941.7	167368.3		167368.3
შემოსავლები	115022.2	119877.0	153638.3		153638.3
არაფინანსური აქტივების კლება	1626.2	5064.7	13730.0		13730.0
გადასახდელები	136656.7	139027.0	167472.2		167472.2
ხარჯები	78667.6	83689.7	87517.7		87517.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	45725.8	46430.4	62493.9		62493.9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	2029.0	93.3	737.5		737.5
ვალდებულებების კლება	10234.3	8813.7	16723.2		16723.2
ნაშთის ცვლილება	-20,008.2	-14,085.4	-103.9		-103.9

**მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 153,638.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
შემოსავლები	115022.2	119877.0	153638.3
გადასახადები	18819.4	35081.9	31300.0
გრანტები	63170.7	51564.0	83074.3
სხვა შემოსავლები	33032.1	33231.1	39264.0

**მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 31,300.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
11	გადასახადები	18819.4	35081.9	31300.0
	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის			



111	ღირებულების ნაზრდზე		10742.6	7000.0
1111	ფიზიკური პირებიდან		10742.6	7000.0
11111	საშემოსავლო გადასახადი		10742.6	7000.0
113	გადასახადები ქონებაზე	18820.2	24339.2	24300.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	18820.2	24339.2	24300.0
11311	ქონების გადასახადი	18820.2	24339.2	24300.0
113111-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	16263.1	21448.6	21450.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1117.8	1199.1	1150.0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1380.1	1691.5	1700.0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	59.3		
116	სხვა გადასახადები	-0.8		

**მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 83,074.3 ათასი ლარის ოდენობით:  
(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
13	გრანტები	63170.7	51564.0	83074.3
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	63170.7	51564.0	83074.3
	<i>მიმდინარე დანიშნულების გრანტები</i>	<i>61330.1</i>	<i>33648.3</i>	<i>45315.7</i>
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	52542.3	33642.3	37342.3
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	52542.3	33642.3	37342.3
133211	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	8787.8	6.0	7973.4
1332111	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	8787.8	6.0	7973.4
	<i>კაპიტალური დანიშნულების გრანტები</i>	<i>1840.6</i>	<i>17915.7</i>	<i>37758.6</i>
133112	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1840.6	2491.4	2758.6
1331121	სპეციალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	893.8		
1331123	სხვა ტრანსფერი	946.8	2491.4	2758.6
133212	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		15424.3	35000.0



1332122	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		15424.3	35000.0
---------	---	--	---------	---------

**მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 39,264.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	33032.1	33231.1	39264.0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	3347.7	1431.1	1332.1
1411	პროცენტები	2430.0	699.3	607.1
1415	რენტა	917.7	731.8	725.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	284.9	154.6	100.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	632.8	577.2	625.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	22932.9	25445.3	32809.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	22927.1	25444.4	32809.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	525.1	435.8	450.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	498.5	411.2	450.0
1422399	სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი	26.6	24.6	
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	3.5	3.0	
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.4	2.4	
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	20167.5	21835.4	29496.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1540.0	1709.3	2000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	687.5	1458.6	863.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			



1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.8	0.9	
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.8	0.9	
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5.8	0.9	
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	4901.6	4187.9	4200.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1849.9	2166.8	922.9

**მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 87,517.7 ათასი ლარის ოდენობით:  
(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
2	ხარჯები	78667.6	83689.7	87517.7
21	შრომის ანაზღაურება	17672.9	20853.4	19615.6
22	საქონელი და მომსახურება	28583.5	28433.3	32276.0
24	პროცენტი	2586.9	3162.4	4204.3
25	სუბსიდიები	14473.2	12071.7	13007.5
26	გრანტები	1830.5	1404.4	10.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	5855.0	6814.3	7559.6
28	სხვა ხარჯები	7665.6	10950.3	10844.7

**მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 48,763.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 62,493.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	971.1	547.4	358.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება			



03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	35364.8	41364.4	54537.7
04 00	განათლება	4014.2	2354.8	2436.1
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	5329.3	1918.3	5040.6
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	46.4	245.5	121.5
<b>სულ</b>		<b>45725.8</b>	<b>46430.4</b>	<b>62493.9</b>

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 13,730.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	1626.2	5064.7	13730.0
311	ძირითადი აქტივები	242.4	332.6	2500.0
314	არამწარმოებლური აქტივები	1383.9	4732.1	11230.0

**მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 150,011.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
7	სულ	124393.4	130120.0	150011.5
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11282.6	12853.3	14118.7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8695.7	8972.9	9538.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	8695.7	8839.4	8419.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა		133.6	1119.2
	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების			



7013	საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები			346.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2586.9	3880.3	4204.3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			30.0
<b>702</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>14.7</b>	<b>8.3</b>	<b>21.0</b>
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	14.7	8.3	21.0
<b>703</b>	<b>საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება</b>	<b>1826.0</b>		
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	1826.0		
<b>704</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>22667.7</b>	<b>31938.9</b>	<b>44309.1</b>
7045	ტრანსპორტი	21214.8	30438.0	42031.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	21214.8	30438.0	42031.5
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	228.0		
70473	ტურიზმი	228.0		
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1225.0	1500.9	2277.6
<b>705</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>17274.1</b>	<b>9704.6</b>	<b>11919.0</b>
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6598.1	7189.9	7358.2
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	10676.0	2514.7	4560.8
<b>706</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>23508.7</b>	<b>31027.3</b>	<b>30563.8</b>
7061	ბინათმშენებლობა		1644.3	
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	7950.4	10757.9	10299.1
7063	წყალმომარაგება	9326.0	13726.3	13281.1
7064	გარე განათება	4024.5	3563.6	5436.2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2207.7	1335.1	1547.4
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>2620.1</b>	<b>3054.8</b>	<b>3880.3</b>
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	254.1	307.2	402.5





70711	ფარმაცევტული პროდუქცია	254.1	307.2	402.5
7072	ამბულატორიული მომსახურება	137.9	97.1	140.8
70722	სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურება	46.7	23.5	40.9
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	91.1	73.5	99.9
7073	საავადმყოფოების მომსახურება	284.0	494.1	559.3
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	195.6	306.0	295.5
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	88.4	188.1	263.8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	839.1	932.2	1137.6
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1104.9	1224.2	1640.1
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>25295.2</b>	<b>20181.1</b>	<b>22998.2</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	15412.6	14010.4	16717.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	9662.8	5906.3	5979.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	219.8	264.5	301.6
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>14083.6</b>	<b>13655.9</b>	<b>14309.9</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	14005.9	13496.9	14112.0
7093	პროფესიული განათლება			37.9
7094	უმალღესი განათლება	50.1	100.8	100.0
70942	უმალღესი აკადემიური განათლება	50.1	100.8	100.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	27.6	58.2	60.0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>5820.8</b>	<b>7695.7</b>	<b>7891.6</b>
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	51.7		
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	51.7		
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	646.6		
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1277.1	1704.3	1918.2
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	3122.1	5305.9	5973.4



7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	723.4	685.4	
------	---	-------	-------	--

**მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 17,356.8 ათასი ლარის ოდენობით

**მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 203.6 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 307.5 ათასი ლარის ოდენობით:

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 103.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	-17979.2	-13992.0	203.6
	ზრდა	2029.0	93.3	307.5
321	საშინაო	2029.0	93.3	307.5
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	2029.0	93.3	307.5
	კლება	20008.2	14085.4	103.9
321	საშინაო	20008.2	14085.4	103.9
3212	ვალუტა და დეპოზიტები	20008.2	14085.4	103.9

**მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -16,723.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 16,723.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-10234.3	-8813.7	-16723.2
	კლება	10234.3	8813.7	16723.2



331	საშინაო	10234.3	8813.7	16723.2
-----	---------	---------	--------	---------

**თავი II**

**ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 12. ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

განისაზღვროს ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:

<b>1</b>	<b>პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)</b>
<b>1.1</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)</b>  პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:  - გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;  - საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;  - გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა.
<b>1.1.1</b>	<b>გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01 01)</b>  ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;  არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;  ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი;  საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;
<b>1.1.2</b>	<b>საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)</b>  ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი - ი. ჭავჭავაძის და გ. ბრწყინვალეს ქუჩებს შორის არსებული ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა;  ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის მეორე ეტაპი - დ. თავდადებულის და ლერმონტოვის ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა;  ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის მესამე ეტაპი - გ. ბრწყინვალეს და ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებული ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა;  ე.წ. "ჭაობის" დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა (მე-2 ეტაპი, ანდრონიკაშვილის, ბესიკის და ჩაიკოვსკის ქუჩები);  ბარცხანის ქუჩების კეთილმოწყობა;  ბონის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;  კახაბრის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა;  სამრეწველო უბნის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა;  მწვანე კონცხის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა;  გონიო-კვარიათის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;  ძველი ბათუმის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;  ბაგრატიონის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა;



	<p>ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარე #10 საჯარო სკოლის და მაიაკოვსკის ქ. #56-ში მდებარე #5 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ლითონის დამცავი მოაჯირის მოწყობა</p> <p>'ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შექმნა;</p> <p>სამუშაოების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები;</p> <p>გზებისა და ქუჩების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.</p>
1.1.3	<p><b>გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01 03)</b></p> <p>გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია;</p> <p>გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;</p> <p>ქუჩების განათების სამუშაოები;</p> <p>ქუჩების გარე განათების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.</p>
1.2	<p><b>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა;</li> <li>- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.</li> </ul>
1.2.1	<p><b>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა (პროგრამული კოდი 03 02 01)</b></p> <p>ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>საგზაო მოძრაობის ორგანიზება;</p> <p>პარკირების სერვისის ორგანიზება;</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;</p> <p>ტბელ აზუსერძის ქუჩაზე დაზიანებული შუქნიშნების შეკეთება/აღდგენა.</p>
1.2.2	<p><b>მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 02)</b></p> <p>შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);</p> <p>შპს "ქ. ბათუმის ავტოტრანსპორტის" კაპიტალის ზრდა (16 ერთეული ავტომუსების მოსაცდელელების შექმნა-მონტაჟის მიზნით).</p>
1.3	<p><b>საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 03)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;</li> <li>- წყლის სისტემების რეაბილიტაცია;</li> <li>- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება.</li> </ul>
1.3.1	<p><b>სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)</b></p> <p>სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია;</p> <p>მწვანე კონცხის დასახლებაში არსებული ქუჩების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;</p> <p>გონიოს დასახლებაში არსებული ქუჩების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;</p>



	<p>აეროპორტის დასახლებაში არსებული ქუჩების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;</p> <p>კახაბრის დასახლებაში არსებული ქუჩების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;</p> <p>ბაგრატიონის დასახლებაში არსებული ქუჩების სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია</p> <p>სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.</p>
1.3.2	<p><b>წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)</b></p> <p>სს "აჭარის წყლის ალიანსის" კაპიტალის ზრდა;</p>
1.3.3	<p><b>ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 04)</b></p> <p>შპს "ბათუმის წყალი-ს" სუბსიდირება;</p> <p>პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახადების თანადაფინანსება;</p> <p>ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;</p> <p>კანალიზაციის A და B კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით გეოლოგიური კვლევის განხორციელება;</p> <p>მახინჯაურისა და ჩაქვის დასახლებაში წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა;</p>
1.4	<p><b>ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 04)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა;</li> <li>- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;</li> <li>- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;</li> <li>- სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა;</li> <li>- ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი;</li> <li>- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები.</li> </ul>
1.4.1	<p><b>ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 04 01)</b></p> <p>ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;</p> <p>ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;</p> <p>მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა;</p> <p>ნარჩენების გატანა;</p> <p>ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.</p>
1.4.2	<p><b>პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 04 02)</b></p> <p>შავთავასა და მარუხის ქუჩების კვეთაში არსებული ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა;</p> <p>ქ. ბათუმში შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკანა ტერიტორიაზე მოედნისა და მოედანთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა;</p> <p>პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;</p> <p>ზუბალაშვილის ქ. #39-ს მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობის (დასრულების) სამუშაოები;</p>



	<p>ჯავახიშვილის ქუჩა N6ა-ს მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა;</p> <p>გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული პრომინადის (ზღვისპირა ბილიკის) დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა.</p>
<b>1.4.3</b>	<p><b>ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 03)</b></p> <p>ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;</p> <p>სეზონური ყვავილების შექმნა-დარგვა;</p> <p>სანერგე მეურნეობაში მრავალწლიანი ნერგების გამოყვანა;</p> <p>ხე-მცენარეების შექმნა-დარგვა;</p> <p>სასათბურე მეურნეობის აღდგენა-რეაბილიტაცია.</p>
<b>1.4.4</b>	<p><b>სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა (პროგრამული კოდი 03 04 04)</b></p> <p>ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და განვითარება;</p> <p>6 მაისის პარკის ინფრასტრუქტურის ატრაქციონების მოვლა-პატრონობა;</p> <p>ზოოკუთხის მოვლა-პატრონობა;</p> <p>ზოოკუთხეში ხანძარ-საწინაღმდეგო სისტემის მონტაჟი.</p>
<b>1.4.5</b>	<p><b>ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 04 05)</b></p> <p>ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>მცენარეთა კოლექციის მოვლა-პატრონობის, შევსების, განახლებისა და კონსერვაციის ღონისძიებები;</p> <p>ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა;</p> <p>ბოტანიკური ბაღში ტურისტული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;</p> <p>სერვისების განვითარება და მარკეტინგული ღონისძიებები;</p> <p>შეხვედრებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და ორგანიზება;</p> <p>ეკო-საგანმანათლებლო და კულტურულ შემეცნებითი პროექტები;</p> <p>ბოტანიკური ბაღის სტიპენდია;</p> <p>გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღის განვითარება;</p> <p>ქვედა პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;</p> <p>ელექტრო სადენებისა და ვიდეო-სამეთვალყურეო ქსელის მიწისქვეშ ჩატანის სამუშაოები, ახალი დეკორატიული ზოძების მონტაჟი;</p> <p>მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლება.</p>
<b>1.4.6</b>	<p><b>ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 06)</b></p> <p>საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;</p> <p>წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;</p> <p>დეკორატიული განათების სამუშაოები;</p>



ე. ნინოშვილის ბიუსტის დამზადება-მონტაჟი;

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის მოწყობა.

1.5

**ზინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ზინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 05)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

**ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი (პროგრამული კოდი 03 05 02)**

ადმინისტრირება და მართვა;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავებზე თოვლდამჭერების მონტაჟი;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ფანჩატურის შექმნა-შეტანა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სკამების შექმნა-შეტანა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი;

არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში კალათურთის მოედნის მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის შადრევანის შექმნა-მონტაჟი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ასფალტის დაგება;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ფილების დაგება;

1.5.1

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ბორდიურების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში კორდის მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სენსორული განათების მოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;

შენობების ფასადების შეღებვა;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შესყიდვა;

საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ბეტონის საფარის დაგება;



	<p>საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა;</p> <p>გონიოს დასახლებაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები;</p> <p>კახაბრის დასახლებაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები;</p> <p>მწვანე კონცხის დასახლებაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები;</p> <p>გადამზადების პროგრამა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისათვის.</p>
1.6	<p><b>მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;</li> <li>- მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა.</li> </ul>
1.6.1	<p><b>მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06 01)</b></p> <p>ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;</p> <p>მწვანე კონცხის დასახლებაში მახინჯაურის სასაფლაოს მიმდებარედ ფერდამცავი საყდენი კედლის მოწყობა;</p> <p>ფერიის სასაფლაოების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.</p>
1.6.2	<p><b>მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 06 02)</b></p> <p>ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა - სამუშაოების დასრულება;</p> <p>დაბა ჩაქვიში ქ. ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოწყობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;</p>
1.7	<p><b>ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 07)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა</li> <li>- საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა;</li> <li>- ბათუმის ტერიტორიის აეროფოტოგადაღება და ციფრული სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა.</li> </ul>
1.7.1	<p><b>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07 01)</b></p> <p>გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>მიწისქვეშა კომუნკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.</p>





1.7.2	<p><b>საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 07 02)</b></p> <p>ბოტანიკურ ბაღში მცხოვრებ ოჯახებზე საკომპენსაციო თანხების გაცემა;</p> <p>უსახური ავტოფარეხების, დამხმარე ნაგებობებისა და სხვა შენობა-ნაგებობების დემონტაჟის საკომპენსაციო თანხების გაცემა.</p> <p>ლეს და მარია კაჩინსკებისა და ანგისის ქუჩების შემაერთებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებერე ზოლში მდებარე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კომპენსაცია.</p> <p>"მაიაკოვსკის ქ. #67-ის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების გაცემა</p>
1.7.3	<p><b>ბათუმის ტერიტორიის აეროფოტოგადაღება და ციფრული სამგანზომილებიანი მოდელის შექმნა (პროგრამული კოდი 03 07 06)</b></p> <p>მოსამზადებელი სამუშაოები;</p> <p>აეროფოტოგადაღების სამუშაოების განხორციელება;</p> <p>მონაცემების კამერალური დამუშავება;</p> <p>პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა;</p> <p>მონაცემების ინტეგრაცია-ადაპტაცია პროგრამულ უზრუნველყოფაში და მათი ერთიან პლატფორმაში მოქცევა, პერსონალის გადამზადება.</p>
1.8	<p><b>მუნიპალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 03 08)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება.</li> </ul>
1.8.1	<p><b>ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 03 08 01)</b></p> <p>დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება.</p>
2	<p><b>პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)</b></p>
2.1	<p><b>სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;</li> <li>- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;</li> </ul>
2.1.1	<p><b>ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)</b></p> <p>საბავშვო ბაღების მართვა-ადმინისტრირება;</p> <p>საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;</p> <p>საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.</p> <p>საბავშვო ბაღების სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები;</p> <p>თანამშრომელთა ტრენინგები.</p>
2.1.2	<p><b>საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)</b></p> <p>თამარის დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;</p> <p>სვიშევსკის ქუჩა №1-ში მდებარე №19 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი;</p>



	<p>ურების დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;</p> <p>წერეთლის ქუჩა №30-ში მდებარე №12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი;</p> <p>საბავშვო ბაღების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.</p>
<b>2.2</b>	<p><b>პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>- ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.</li> </ul>
<b>2.2.1</b>	<p><b>პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)</b></p> <p>უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა;</p> <p>ადგილობრივ და საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;</p>
<b>2.2.2</b>	<p><b>ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)</b></p> <p>2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა;</p> <p>2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა.</p>
<b>2.2.3</b>	<p><b>პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 03)</b></p> <p>პროფესიული კოლეჯი "ბლექსის" შენობის ფასადის და ეზოს კეთილმოწყობა</p>
<b>3</b>	<p><b>პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)</b></p>
<b>3.1</b>	<p><b>სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;</li> <li>- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;</li> <li>- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;</li> <li>- ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი;</li> <li>- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>- ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი „ნონა“;</li> <li>- ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი;</li> <li>- ა(ა)იპ – ბათუმის ავტოდრომი.</li> </ul>
	<p><b>საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 01)</b></p> <p>რუსუდან სიხარულიძის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიში;</p> <p>საერთაშორისო ჩემპიონატი ბილიარდში;</p> <p>საერთაშორისო ტურნირი ტაეკვანდოში;</p> <p>საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ. ალთაბაევის თასზე;</p> <p>მუხრან ვახტანგაძის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;</p>



<p>3.1.1</p>	<p>საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე;</p> <p>საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში;</p> <p>საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში;</p> <p>გ. მენაბდის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში;</p> <p>აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში;</p> <p>საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში;</p> <p>საერთაშორისო ტურნირი მოზარდებს შორის თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, მიმდევნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი;</p> <p>საერთაშორისო ფესტივალი აღმოსავლურ ორთაბროძელებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თასზე;</p>
<p>3.1.2</p>	<p><b>სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)</b></p> <p>შპს საფეხბურთო კლუბი "ბათუმის დინამო";</p> <p>შპს სარაგბო კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;</p> <p>შპს ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;</p> <p>შპს საკალათბურთო კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;</p> <p>შპს წყალბურთის კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;</p> <p>შპს ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;</p>
<p>3.1.3</p>	<p><b>ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)</b></p> <p>ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა;</p> <p>წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან;</p>
<p>3.1.4</p>	<p><b>სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)</b></p> <p>აფსაროსის ქუჩის მე-3 შესახვევში არსებული ღია სპორტული მოედნის კაპიტალური რეკონსტრუქცია;</p> <p>ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის დასრულება;</p> <p>ტბ. აბუსერიძის ქ. #38-ში სპორტული მოედნის მოწყობა;</p> <p>აკაკი შანიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა;</p> <p>ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექს „მაგნოლია“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედნის კეთილმოწყობა;</p> <p>ქალაქ ბათუმში ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიანი სპორტული სტადიონის კაპიტალური შეკეთება;</p> <p>ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა #322 მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთება;</p> <p>ქ. ბათუმში, წმიდა თევდორე აჭარელის ქუჩა #2-2ა მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური შეკეთება.</p> <p>სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;</p>
<p>3.1.5</p>	<p><b>ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 05)</b></p> <p>მართვა და ადმინისტრირება;</p> <p>ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;</p> <p>სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება;</p>



	სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება.
3.1.6	<p><b>მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)</b></p> <p>ეზოს ფეხბურთი;</p> <p>ბათუმობის დღესასწაულთან მიძღვნილი გარბენი;</p> <p>საერთაშორისო სპორტის დღისადმი მიძღვნილი ველო მარათონი;</p> <p>Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა;</p> <p>სპორტული ღონისძიება ვეტერანთა შორის;</p> <p>საჯარო უწყებებს შორის ტურნირი ფეხბურთში;</p> <p>სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის.</p>
3.1.7	<p><b>ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 07)</b></p> <p>კლუბის მართვა და ადმინისტრირება;</p> <p>ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა;</p> <p>მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება;</p> <p>საერთაშორისო ნორმიანი ტურნირების ორგანიზება</p>
3.1.8	<p><b>ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 08)</b></p> <p>კლუბის მართვა და ადმინისტრირება;</p> <p>სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;</p> <p>ცხენებისათვის საკვები მარაგების შექმნა და სამედიცინო მომსახურება.</p>
3.1.9	<p><b>ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი (პროგრამული კოდი 05 01 09)</b></p> <p>კლუბის მართვა და ადმინისტრირება;</p> <p>სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;</p>
3.2	<p><b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;</li> <li>- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;</li> <li>- ხელოვანთა ხელშეწყობა;</li> <li>- ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრი;</li> <li>- ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;</li> <li>- მემორიალების პროექტების შედგენა;</li> <li>- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.</li> </ul>
	<p><b>საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)</b></p> <p>კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი;</p> <p>საავტორო კინოს ბათუმის XII საერთაშორისო ფესტივალი;</p>



3.2.1	<p>ბათუმის ანიმაციური ფილმების IX საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა;</p> <p>მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი;</p> <p>მოდის საერთაშორისო კვირეული - „Adjara Fashion Week“;</p> <p>'მის და მისტერ პლანეტა - Miss &amp; Mister Planet;</p> <p>'სილამაზის კონკურსი "მის საქართველო".</p>
3.2.2	<p><b>კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 02)</b></p> <p>კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება;</p>
3.2.3	<p><b>ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)</b></p> <p>დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით კომისიური წესით შერჩეულ ბენეფიციართა დაფინანსება;</p>
3.2.4	<p><b>ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)</b></p> <p>ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი;</p> <p>შემოქმედებითი პერსონალის და ანსამბლების შრომის ანაზღაურება;</p> <p>'საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;</p> <p>ქალაქისა და ქვეყნის ღირსესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;</p> <p>დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები;</p> <p>საზაფხულო თეატრში სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები.</p>
3.2.5	<p><b>ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 05)</b></p> <p>მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-ადმინისტრირება;</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები;</p> <p>ბეჭდური გამოცემების შექმნა, წიგნადი ფონდის შევსება-განახლება;</p> <p>ბიბლიოთეკების მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განახლება;</p>
3.2.6	<p><b>მემორიალების პროექტების შედგენა (პროგრამული კოდი 05 02 06)</b></p> <p>9 აპრილის გმირთა მემორიალის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა;</p> <p>რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა.</p>
3.2.7	<p><b>'კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 05 02 07)</b></p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების დამტკიცებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები;</p>
3.3	<p><b>ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ახალგაზრდული ცენტრის შექმნა;</li> <li>- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა</li> <li>- სტუდენტური საზაფხულო დასაქმება.</li> </ul>
	<p><b>ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 03 01)</b></p>



3.3.1	<p>ახალგაზრდული ცენტრის საბიბლიოთეკო მასალითა და ინვენტარით აღჭურვის უზრუნველყოფა;</p> <p>ახალგაზრდული ცენტრის სანიტარულ-ჰიგიენური მოვლა-პატრონობის, კომუნალური ხარჯების მომსახურების უზრუნველყოფა; საკანცელარიო საქონელი;</p> <p>მოლბერტების, საინფორმაციო ხასიათის დაფისა და მანიშნებლის, გისოსების დამზადება;</p> <p>შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება;</p> <p>ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;</p> <p>წლის ბოლოსათვის შემაჯამებელი კონფერენციის ორგანიზება.</p>
3.3.2	<p><b>ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 02)</b></p> <p>ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?</p> <p>ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი);</p> <p>ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (ფინალი)</p>
3.3.3	<p><b>სტუდენტური საზაფხულო დასაქმება (პროგრამული კოდი 05 03 03)</b></p> <p>სტუდენტური დასაქმების ინტერნეტ-საიტის შექმნა;</p> <p>სტუდენტებისათვის კვების და მასურების შექმნა;</p> <p>სტუდენტთა შრომის ანაზღაურება;</p>
4	<p><b>პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)</b></p>
4.1	<p><b>ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;</li> <li>- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;</li> <li>- ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა;</li> <li>- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;</li> <li>- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;</li> <li>- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება;</li> <li>- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;</li> <li>- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;</li> <li>- ჰემოდალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;</li> <li>- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;</li> <li>- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;</li> <li>- ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება.</li> </ul>
	<p><b>ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)</b></p> <p>ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p> <p>ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p>



4.1.1	<p>მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p> <p>18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება;</p> <p>18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება;</p> <p>პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.</p>
4.1.2	<p><b>ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)</b></p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია;</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით;</p> <p>60 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექსკოპია.</p>
4.1.3	<p><b>ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 03)</b></p> <p>0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და დისპლაზიის მკურნალობა;</p>
4.1.4	<p><b>ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)</b></p> <p>ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.</p>
4.1.5	<p><b>მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა (პროგრამული კოდი 06 01 05)</b></p> <p>სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;</p> <p>18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოდონტიული და ორთოპედიული მომსახურება.</p>
4.1.6	<p><b>C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 06)</b></p> <p>სოციალურად დაუცველთა დიაგნოსტიკა და მკურნალობის მონიტორინგი;</p> <p>დიაგნოსტიკა და მკურნალობის მონიტორინგი.</p>
4.1.7	<p><b>შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 07)</b></p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების მომსახურეობა (ურეკი);</p> <p>ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების, ბენეფიციარების მომსახურეობა (ურეკი);</p> <p>ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ პირების, ომის ინვალიდების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირების მომსახურეობა (ურეკში);</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების და ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების, ბენეფიციარების მომსახურეობა (წყალტუბო);</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების თანმხლები პირების მომსახურეობა (წყალტუბო);</p> <p>ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა (წყალტუბო);</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ვეტერანი პენსიონერების, ომის ინვალიდების და თანმხლები პირების მომსახურეობა (ბორჯომი);</p> <p>ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურეობა (ბორჯომი);</p> <p>ტრანსპორტირების ხარჯი.</p>



	<p><b>ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 09)</b></p> <p>ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა პირველადი სკრინინგი მუკოვისციდოზზე;</p> <p>ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა მეორადი (საჭიროების შემთხვევაში) სკრინინგი მუკოვისციდოზზე;</p> <p>ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა;</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული 3-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება;</p> <p>აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია;</p> <p>ტრენინგ-სემინარების ჩატარება 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების მშობლებისათვის.</p>
4.1.8	<p><b>ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 10)</b></p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება;</p> <p>ლეიკემიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირებისათვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარების გაცემა.</p>
4.1.10	<p><b>ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 11)</b></p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა.</p>
4.1.11	<p><b>მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)</b></p> <p>დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის;</p> <p>ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული და ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის თანადაფინანსება.</p>
